ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №185049

ნომერი: AR152381

თარიღი : 20.05.2012

გაცემის თარიღი : 29.05.2012

გაცნობის თარიღი : 08.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ ჯოხაძე პ/ნ 01029003179
- თბილისი მოსკოვის გამზ. N 33 კორ. 5 ბ. 16

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 03 ივლისის №618 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 20 მაისს №AR152381 განცხადებით მომართა შპს "ქართლი უნივერსალ სერვისი"-ს დირექტორმა მალხაზ ჯოხაძემ და მოითხოვა 2009 წლის 03 ივლისის №618 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 03 ივლისს ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი №2-

ში არსებულ №02/006 მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) არსებული სავაჭრო პავილიონების რეკონსტრუქციის და დამატებითი (დროებითი) პავილიონების მოწყობის მიზნით გაიცა №618 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა 5677 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით №01.17.12.002.006.
განცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და კონფიგურაცია, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების შეტანას სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში. საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი დღეის მდგომარეობით შეადგენს 3163 კვ.მ-ს საკადასტრო კოდით №01.17.12.002.044 (ამონაწერის რეგისტრაციის №882011497594, მომზადების თარიღი 13.10.2011წ., საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882011475531 მომზადების თარიღი 30.09.2011წ.). საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენობლო განვითარების ფუნქციური ზონა და სხვა ქალაქთმშენებლობითი პირობები უცვლელი დარჩა.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ამდენად, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 03.07.2009წ. №618 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შეიცვალოს საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, მიეთითოს ახალი საკადასტრო კოდი და დაფიქსირდეს ახალი კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 03 ივლისის №618 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართად 5677 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 3163 კვ.მ. საკადასტრო კოდად მიეთითოს: №01.17.12.002.044 და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დაფიქსირდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის შესაბამისად.
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 03 ივლისის №618 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (ამონაწერის რეგისტრაციის №882011497594, მომზადების თარიღი 13.10.2011წ., საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882011475531 მომზადების თარიღი 30.09.2011წ.).
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 03 ივლისის №618 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.